ოქმი:**ო37. 37232843**
თარიღი:**11/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნუგზარ ურუშაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 9 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
11.30 სთ-12.30 სთ.

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე *ლავრენტი* ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ნუგზარ ურუშაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ნუგზარ ურუშაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ნ. ურუშაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი ,“2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღები

წესი“.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. რომ უშუალოდ მისი შუამდგომლობითა და მერიის ჩართულობით მოგვარებულ იქნა შემდეგი საკითხები: გადაიხურა სტიქიით დაზიანებული სახლები,რეაბილიტირებული იქნა გზები,დაიგო ასფალტის საფარი,გაიწმინდა სანიაღვრე არხები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე *ლავრენტი* ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად *შეესაბამება* რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ნუგზარ ურუშაძეს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი